წელიწადი მეოთხე. — № 23. პარიზი, 1 აპრილი (19 მარტი) 1905 წ.

საქართველო

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო

წლიური ფასი . . . . . 5 მანეთი.
თითო ნომერი . . . . . — 25 კაპ.

რედაქციისა და ადმინისტრაციის ადრესი:
51, rue Saint-Sauveur, PARIS.

შ ი ნ ა ა რ ს ი

როგორ უნდა გადაწყდეს ჩვენში მიწის მფლობელობის საქმე. — სარევოლუციო მოძრაობა საქართველოში (წერილი ბათომიდან). — ლიბერალიზმი ?! — რას ითხოვენ რუსის გლეხები. — ქართველი ლიბერალები ხმას იღებენ. — განხეთქილება კავკასიის სოციალ-დემოკრატთა შორის. — სოლიდარობის დასაწყისი. — განცხადება.

როგორ უნდა გადაწყდეს ჩვენში მიწის მფლობელობის საქმე (1)

აგრარულ კითხვას თან და თან ფრიად დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენში. განუწყვეტელი უთანხმოება და შეტაკება გლეხთა და შემამულეთა შორის, მეურნეობის დაქვეითება და სოფლის ცხოვრების მოუწყობლობა — ყოველივე ეს მოითხოვს სერიოზულ შესწავლას მიწის მფლობელობის ურთიერთობისას. მთავარი უკეთმართი მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა ის არის, რომ დიდძალი მიწა არა-მშრომელთა ხელშია. აქ უნდა ვეძებდეთ უთანხმოების და მოურიგებლობის მიზეზს. ამიტომ სანამ ეს უკეთმართი მოვლენა არ მოისპობა და მიწა საზოგადო კუთვნილებად არ გახდება, სოფელში კმაყოფილება და მშვიდობიანობა არ დამყარდება. ქვემოდ ვაძლევთ რამდენსამე მოსაზრებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ჩვენში მიწის მფლობელობის კითხვა.

—

ჩვენ მომხრენი ვართ მიწის საზოგადო მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ა ჯერ იმიტომ, რომ იგი ფორმაა საზოგადო წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა. მართალია, მფლობელობის გასაზოგადოებრივება არ ნიშნავს კიდევ წარმოების გასაზოგადოებრივებას. რუსეთის « ობშჩინაში », მაგალითად, თითოეულ კომლს განსაზღვრულ ვადით მიწას სარგებლობაში აძლევენ და ვადის გათავების შემდეგ მიწა ისევ « ობშჩინას » უბრუნდება, სადაც ხელახლად იმიჯნება იგი (передѣлъ) და ხელახლად მოთხოვნილების მიხედვით გლეხებს ურიგდებათ. აქ ჩვენ არ ვხედავთ საზოგადოებრივ წარმოებას, არამედ მარტო საზოგადოებრივ მფლობელობას. ხოლო იქ სადაც საზოგადო წ ა რ მ ო ე ბ ა დამყარდება, საზოგადო მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა სავალდებულო უნდა იყოს. საზოგადო მფლობელობა არ არის აუცილებელი პირობა წარმოების გასაზოგადოებრივებისა, ხოლო ეს უკანასკნელი კი უპირველოდ ვერ გაიკეთებს ფესვებს.

მაშასადამე, ჩვენ დღესვე უნდა მოვუმზადოთ კომუნისტურ წარმოების განხორციელებისათვის შესაფერი ნიადაგი.

ჩვენ მომხრენი ვართ მიწის საზოგადო მფლობელობისა აგრეთვე იმიტომ, რომ თანამედროვე პირობებში, კონკურენციის ზედგავლენით, წვრილფეხა გლეხობა თან და თან ებმება მევახშისა და მემამულეს მიერ გაბმულ ქსელებში. და ცხადზე უცხადესია, რომ ამ დამონების მოსპობისათვის სრულიად არ არის საკმარისი პატარ-პატარა გაუმჯობესებანი თუ შევიტანეთ გლეხკაცის მდგომარეობაში.

რუსეთის სოციალ-დემოკრატები (და დღეს გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხები და ლეგალური პრესაც) იძახიან, უნდა გაუმჯობესდეს მოიჯარადრეობის პირობები, უნდა მოისპოს « [illegible] », ნაყმევები მესაკუთრეებად უნდა გახდეს, [illegible] ის მიწაც უნდა მიეცეს, რომელიც « განთავისუფლების » დროს წაერთვათ მემამულეთა სასარგებლოდ. მაგრამ, საქმე ის არის, რომ არც ერთი აქ აღნიშნული ზომა შესამჩნევად არ შესცვლის გლეხობის მდგომარეობას. და თუ შესცვლის მხოლოდ დროებით და მერე ისევ იმავე უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდება გლეხკაცი. გა ვარჩიოთ ეს უფრო ზედმიწევნით.

ავიღოთ მოიჯარადრეობა. მოიჯარადრეობას იქ აქვს ადგილი, სადაც გლეხობას საკუთარი მიწა ან სულ არ აქვს, ან მცირე ნაწილი. და საიჯარო ქირაც ანუ ფასიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდია რიცხვი იმ ღარიბ-დატაკთა, რომელთაც თავის გამოსაკვებად მიწა არა აქვსთ. როცა ამგვარი რიცხვი დიდია, მოიჯარადრეთა შორის ქიშპობა იბადება (არსებობისათვის ბრძოლა მძიმეა) და ვინც მეტს მისცემს მემამულეს, მიწა იმას ერგება. ამრიგად, როცა საიჯარო ფასი განუსაზღვრელად მაღალია, ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელში შევრია იმისთანა გლეხი, რომელიც ნახევრად შმიერ-მწყურვალი დაიარება.

სოციალ-დემოკრატებს ჰსურსთ ამ გარემოებას საგანგებო სასამართლოს დაარსებით უშველონ. მაგრამ, რა შეუძლიან სასამართლოს ? ხოლო, ვსთქვათ, კანონის ძალით საიჯარო ფასი ამა და ამ ნორმას არ უნდა აღემატებოდეს. აშკარაა ამ კანონს არავინ აასრულებს, რადგან კანონი მოიჯარადრეთა შორის ქიშპობას ვერ მოსპობს, კანონი ვერ შეამცირებს ღარიბ-დატაკთა რიცხვს და ვერ დაუშლის გლეხს ლუკმა პურის საშოვნელად თავის ჯან-ღონის სამარცხვინო ფასად გაყიდვას. და ამრიგად სასამართლო უძლური იქნება « სამართლიანობა » დაამყაროს მემამულესა და მოი-

(1) ამ წერილს ვიღებთ ჩვენ მიერ შედგენილ ბროშურიდან, რომელიც ამავე სათაურით მზადდება დასაბეჭდად.
რედ.

ჯარადრეს შორის. ასეთივე უძლურობის ბეჭედი დაესმის მევახშეობის წინააღმდეგ გამოცემულ კანონებს.

მაგრამ ვსთქვათ, სასამართლომ მოახერხა და დასწია გადამეტებულად აწეული საიჯარო ფასი (**непомѣрно высокія арендныя платы**, როგორც ს.-დემ. პროგრცმაშია ნათქვამი). ვსთქვათ დააწესეს სხვა ფასი, « — არა-გადამეტებულად » აწეული. ნუ თუ მოიჯარადრეთა მდგომარეობა ამით გაუმჯობესდება? უნდა გვახსოვდეს, გლეხი მემამულესთან იმიტომ მიდის, რომ უჭირს, თავისი მიწა არა ჰყოფნის. და იმის მაგიერ, რომ ეს ძირითადი უკუღმართობა მოსპოთ, იმის მაგიერ, რომ რაიმე ღონე იღონოთ მიწის მფლობელობისაგან გამოწვეულ მიწურ დამოკიდებულობის გასაწყვეტად, თქვენ აარსებთ სასამართლოებს მხოლოდ საიჯარო ფასის დასაწევად და თითქოს ამ სახით კანონიერ სანქციას აძლევთ სოციალურ უსამართლობას! არა, სოციალისტი ამას ვერ შეიწყნარებს!

ავიღოთ ახლა დროებითი ვალდებულება და წვრილი მესაკუთრეობა. ვსთქვათ, მოისპო ბატონყმობის დროიდან დარჩენილი წესები. დროებით ვალდებულ გლეხს მიწა სახელმწიფომ გამოუყიდა ან ძალით წაართვა მემამულეებს. ვსთქვათ დიდი უმრავლესობა ჩვენის გლეხობისა მესაკუთრედ შეიქმნა. რა მოჰყვება ამ გარემოებას? გაუმჯობესდება გლეხის მდგომარეობა თუ არა? აქაც გაუმჯობესება დროებითი მოვლენა იქნება. ხალხი მრავლდება, რაც დღეს აკმაყოფილებს მას, ოც-და-ათის წლის შემდეგ აღარ დააკმაყოფილებს, თუ მხედველობაში ისიც მივიღეთ, რომ ჩვენში ტეხნიკური გაუმჯობესება და პროგრესი ძლიერ ნელის ნაბიჯით მიდის წინ. გლეხის საკუთრება ისედაც წვრილი, ამრიგად უფრო დაწვრილმანდება და, რასაკვირველია, უფრო და უფრო გაუჭირდებათ ბაზარზე ქიშპობა გაუწიოს სხვილ მემამულეთა. ასე რომ არც ბატონყმურ წესების მოსპობით, არც საიჯარო პირობების გაუმჯობესებით გლეხის ექსპლოატაციას ბოლო არ მოეღება. და ეს ექსპლოატაცია აიძულებს გლეხს მიწის მფლობელობის ფორმა შესცვალოს. და სწორედ ეს იქმნება დასაწყისი იმის ეკონომიურ განთავისუფლებისა.

* * *

ამ მოვლენამ ევროპაში უკვე იჩინა თავი. კაპიტალიზმის გაძლიერებასთან ერთად მფლობელობის წესის შეცვლის საჭიროება აუცილებლივ ჩვენშიაც ამოჰყოფს თავს. ჩვენ ვგულისხმობთ მიწის *სოციალიზაციას* და *კოოპერაციას*, რომელიც შრომის და კაპიტალის გასაზოგადოებრივობისა პირველყოფილ ფორმად ჩაითვლება. ბელგიაში, მაგ., წვრილი მესაკუთრენი მიხვდნენ, რომ სხვილ მემამულეს ქიშპობას ვერ გაუწევენ, თუ სხვა წვრილ მემამულეებს არ შეუერთეს თავიანთი ძალ-ღონე. ამრიგად თან და თან კერძო მფლობელობას იქ საზოგადო ხასიათი ეძლევა. ხოლო ამგვარივე ხასიათი ეძლევა ხარჯის გაწევას და შრომას. გლეხთა კავშირები საერთოდ ჰყიდულობენ სამეურნეო იარაღს. გაუმჯობესებულ სისტემის მანქანები — სამკალი, სათიბი, სათესი, გუთანი და სხვ. მარტო სხვილ და მდიდარ მემამულეთა კუთვნილებად აღარ არის. საერთოდვე ჰყიდულობენ თესლს, სასუქს. საზოგადო მაღაზიებსა ხსნიან თავიანთ ნამუშავრის გასასაღებლად. ერთის სიტყვით, ურთიერთშორის დახმარება და სოლიდარობა თან და თან მატულობს ამ ხასიათის კოოპერატორთა შორის.

უნდა ვსთქვათ, რომ კოოპერატულ მოძრაობას ბევრი მტერი ჰყავს სოციალისტურ ლიტერატურაში. ხოლო კრიტიკოსებს მხედველობაში აქვსთ ხოლმე ვაჭრულ ხასიათის კოოპერაცია, სადაც დაქირავებული მუშებიც მუშაობენ და სადაც ყოველივე კაპიტალისტურ საფუძველზეა მოწყობილი. სრულიად ვეთანხმებით, რომ ამგვარ კოოპერაციას სოციალიზმთან არა აქვს-რა საერთო. მხოლოდ ჩვენ ვგულისხმობთ იმ *თანამემწეობის*, *თანამშრომლობის* პრინციპს, რომელიც ნამდვილ კოოპერაციის საფუძვლად უნდა ჩაითვალოს. და ეს პრინციპი არამც თუ არ ეწინააღმდეგება სოციალისტურ მოთხოვნილებათ, არამედ მათ განხორციელებას ხელსაც უწყობს. ამ საგანში მწერალთა შორის სრული თანხმობაა. საკამათოდ მხოლოდ ის დარჩა, რომ ერთნი ამტკიცებენ, კოოპერაცია *ეხლავე* უნდა იყოს შემოღებული სოფელში, კოოპერაციის საშუალებით წვრილი მესაკუთრე პროლეტარიზაციისაგან უნდა ვიხსნათო. მეორენი კი (მარქსისტები) დღევანდელ პირობებში კოოპერაციას კაპიტალიზმის განვითარებისათვის შემაფერხებელ საშუალებად სთვლიან, განსაკუთრებით იმიტომ, რომ კოოპერაცია პროლეტარიზაციისაგან იფარავს წვრილფეხა გლეხობას. ამ მწერალთა აზრით, კოოპერაციას მხოლოდ მომავალში, სოციალურ რევოლუციის შემდეგ ექმნება მნიშვნელობაო. კაუცკი თავის « სოციალურ რევოლუციაში » ამბობს: სოციალურ რევოლუციის შემდეგ « გლეხები თავიანთ მიწას ერთმანერთს შეუერთებენ და საერთოდ შეიმუშავებენ მას. ამას განსაკუთრებით იმიტომ იზამენ, რომ დაინახავენ, რა დიდ სარგებლობას იძლევა მამული ამხანაგურს საფუძველზე დამყარებული... ისინი დარწმუნდებიან, რომ გაერთიანებულ მამულებში შრომას მეტი ნაყოფი მოაქვს და მუშას მეტი თავისუფალი დრო დარჩება, ვიდრე წვრილ მესაკუთრეს » (გვ. 144). ამავე აზრისა არიან ენგელსი, ლიბკნეხტი და სხვანი. ამის წინააღმდეგ ჩვენ არა გვეთქმის-რა, მხოლოდ ერთი რამ არ გვესმის, რატომ უნდა მოიტანოს კოოპერაციამ ამგვარი ნაყოფი შორეულ მომავალში და რატომ უნდა იყოს იგი მავნებელი დღეს?

რუსეთის სოციალ-დემოკრატები კიდევ სოციალიზაციას იმიტომ არ თანაუგრძნობენ, რომ მათის აზრით, დღეს სოფელში ბურჟუაზული ნიადაგი უნდა განვითარდეს და ამიტომაც არის, რომ ჩვენ დახმარებას ვუწევთ კერძო საკუთრებასო. « მართალია, კერძო საკუთრების განმტკიცება რეაქციონური ზომაა, — განაგრძობენ ისინი, — რადგან იგი სხვილ კაპიტალისტურ მამულის წინააღმდეგ არის მიმართული, ხოლო ჩვენ დახმარებას ვუწევთ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად კი არა, არამედ ბატონყმობის აღმოფხვრის მიზნადო » (1). — « მაგრამ საქმე ის კი არ არის რის წინააღმდეგ « გსურსთ » კერძო საკუთრებას ხელი გაუმართოთ, — უპასუხებენ ამაზე სოციალისტ-რევოლუციონერები, — რის წინააღმდეგაც არ გინდათ დაეხმაროთ მას, თქვენ არ შეგიძლიანთ ამითი არ გააძლიეროთ იგი. და რაკი აძლიერებთ კერძო საკუთრებას, საშუალებას აძლევთ წინააღმდეგობა გაუწიოს არა მარტო იმას, რაც თქვენც გინდათ, არამედ იმასაც, რაც თქვენ არ გინდათ. სოცია-

(1) ეს სიტყვები „რევ. როსიას" „ზარია"-დამ მოჰყავს, იხ. № 15. (2) ibid.

ლისტური პარტია არ უნდა ემსახურებოდეს მიწის საკუთრების ინდივიდუალიზაციას. და თუ საჭიროდ იცნობს მშრომელ გლეხობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მან უნდა ხელი შეუწყოს გლეხკაცობის მიწის მფლობელობას, ხოლო საზოგადოებრივ და არა ინდივიდუალურ ნიადაგზედ ».

ამრიგად, არც ერთი საბუთი არ არის, რომელსაც შეეძლოს დარღვევა იმ აზრისა, რომ გლეხმა დღესვე უნდა დაიპყროს ხელში მიწა და მისი მფლობელობა საზოგადოებრივი გახადოს. ამას მოითხოვს სოციალიზმი, ამასვე მოითხოვს თანამედროვე მეურნეობის მდგომარეობა, როდესაც წვრილ მესაკუთრეთა ბედი თან და თან უვარგისდება, კონკურენციის, მიწის დაკუწვის და ხალხის ზრდის წყალობით.

მამასადამე, როგორც ვნახეთ, არც საიჯარო ფასების გაწესრიგება, არც წვრილ საკუთრების განმტკიცება, გლეხს არ ხსნის სიღარიბიდამ და მამასადამე ჩვენმა პარტიამ თავის აგრარულ პროგრამაში მიწის სოციალიზაციის საჭიროება უნდა აღიაროს.

* * *

მიწის სოციალიზაციის მაგიერ ხშირად ამბობენ: მიწის ნაციონალიზაცია. ბევრნი ამ ორ მცნებათა შორის არავითარ განსხვავებას არ ხედავენ. ხოლო მაშინ, როდესაც ნაციონალიზაცია ნიშნავს მიწის დასაკუთრებას სახელმწიფოს მიერ. სოციალიზაცია არის მიწის გადასვლა საზოგადოების, კომუნის ხელში.

სანამ სახელმწიფო და ხალხი, მეცნიერთა თვალში, ერთ განუყოფელ სხეულს წარმოადგენდნენ, ამ ორ მცნებათა შორის წინააღმდეგობა თითქოს არ არსებობდა. მაგრამ თან და თან, კლასთა ბრძოლის განვითარების ზედგავლენით, აღმოჩნდა, რომ თანამედროვე სახელმწიფო ბურჟუაზულ-კლასებრივი ორგანიზაციაა და სახელმწიფოს და ხალხის ინტერესები ხშირად ერთიერთმანერთს ეწინააღმდეგებიან. ხოლო უნდა ვსთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი ყველასათვის გამოირკვა, სოციალისტური პარტიები მაინც ხშირად ნაციონალიზაციას და არა სოციალიზაციას ითხოვენ. მაგრამ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მიწის სოციალიზაციის აზრი თან და თან მოქალაქეობრივ უფლებას ინიჭებს და ნაციონალიზაციის პროექტებს სოციალისტები ზოგიერთ შემთხვევაში ეჭვის თვალით უყურებენ ხოლმე.

წინად გერმანიაში სოციალისტები ნაციონალიზაციის მომხრენი იყვნენ. 1848 წელს « გერმანის კომუნისტური პარტია » ითხოვდა: 1) თავადების და ფეოდალების მამულები, მადნები და სხვ. სახელმწიფოს საკუთრებად უნდა შეიქმნესო... 2) გირაო, გლეხის მამულებს რომ აწევს, სახელმწიფოს საკუთრებად ხდება. ვალის სარგებელს გლეხები აძლევენ სახელმწიფოს. 3) სადაც მოიჯარადრეობა არის დამკვიდრებული, რენტა ან საიჯარო ქირა გადასახადის სახით სახელმწიფოს უნდა ეძლეოდესო.

ასე რომ სახელმწიფო ერთსა და იმავე დროს მესაკუთრედ, მებატონედ და ხარჯის ამკრებად ხდებოდა. ამგვარი მიმართულება აღმოცენდა იმ ხანაში, როდესაც მარქსის და ენგელსის ზედგავლენით ეკონომიურ ცენტრალიზმის აზრები იყო გავრცელებული, როდესაც ეგონათ, რომ პროლეტარიატი რამდენისამე წლის განმავლობაში ჩაიგდებს ხელში პოლიტიკურ უფლებას და მამასადამე მის ხელში დარჩება სახელმწიფოს მიერ დასაკუთრებული მიწა, ბანკი და რენტა.

ეხლა ამ მხრივ თვით გერმანიაშიაც ძველ ოპტიმიზმს აღარ იჩენენ. გერმანიაში ნახევრად აბსოლუტური მმართველობაა. სახელმწიფომ რომ მიწა და რენტა ჩაიგდოს ხელში, ეს საშინლად გააძლიერებს მის ძალას. ამ იარაღის საშუალებით მთავრობის ქსელში გაებმებიან ყველანი, ვისაც მიწა ესაჭიროება და მის ყურმოჭრილ მონად შეიქმნებიან. ამიტომაც არის გერმანიის სოციალ-დემოკრატია მონოპოლიის სისტემას დროგამოშვებით უნდობლობას უცხადებს ხოლმე. მან უკუაგდო ბისმარკის პროექტი თამბაქოს მონოპოლიისა, წინააღმდეგი შეიქმნა იმისი, რომ Reichsbank'ი სახელმწიფო ბანკად გაეხადათ, წინააღმდეგი იყო აგრეთვე ბებელის და ლიბკნეხტის პროექტისა (ბრესლავლის კონგრესზე) შესახებ იპოტეკების სახელმწიფოს მიერ შეძენისა. (იხ. Рев. Рос. № 15).

ნაციონალიზაციის პროექტებს დღეს დიდი გასავალი აქვსთ ინგლისსა და ამერიკაში. ინგლისში « სოციალ-დემოკრატთა ფედერაციის » პროგრამაში მიწის ნაციონალიზაციაა წამოყენებული. ამერიკაში ნაციონალიზაციის დამცველად დემოკრატები გამოვიდნენ, როგორც მაგ., ჰანრი ჯორჯი.

ჰანრი ჯორჯის აზრით, საჭიროა მოისპოს ყველა ნაირი გადასახადი გარდა ერთისა. ეს გადასახადი უნდა იყოს მიწის საკუთრებაზე დადებული, ანუ უკეთ ვსთქვათ რენტაზე (მიწის შემოსავალზე) დადებული გადასახადი. ანრი ჯორჯი ამბობს: « მიწის მესაკუთრეს ვეღარ მოჰხიბლავს ის მოსაზრება, მომავალში მიწის ფასი აიწევა და ამრიგად ხეირს ვნახავო: რამდენადაც ფასი აიწევა, იმდენად გადასახადიც. მიწაზე სპეკულიაციასაც ბოლო მოეღება... გადასახადი, რომელიც იქმნება შემოღებული მიწის წმინდა ღირებულობაზე (მამულის გაუმჯობესების მიუხედავად) სასარგებლო იქმნება იმ მესაკუთრეებისათვის, რომელთაც ტეხნიკური გაუმჯობესება ვერ შეუტანიათ მეურნეობაში, ე. ი. სასარგებლო იქმნება წვრილ მესაკუთრეთათვის »-ო (1). ამრიგად, ჯორჯის აზრით მიწის მფლობელობის უთანასწორობა გასწორდება იმითი, რომ დიდ მესაკუთრეთ დააწვებათ სახელმწიფო გადასახადი და ეს გადასახადი ისე მძიმე იქნება, რომ მოსპობს მესაკუთრეობასო.

ხოლო ჰანრი ჯორჯის სისტემაში უსაზღვრო ნდობაა სახელმწიფოსადმი. მართალია, ამერიკაში დემოკრატიაა გაბატონებული, მაგრამ დემოკრატიის გაბატონება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ დემოკრატიული სახელმწიფო ხალხის ინტერესების გამომსახველია. მონარქიასთან შედარებით იგი, რასაკვირველია, უფრო ახლოს არის ხალხის ინტერესებთან. ხოლო იგი მაინც კლასებრივ სახელმწიფოდ რჩება. და ვინ არის თავდები, რომ კლასებრივი სახელმწიფოც რენტის დასაკუთრებით მოპოვებულ ფულს და ძალას ხალხის წინააღმდეგ არ მოიხმარს, როდესაც იგი სოციალურ რევოლუციისათვის აღსდგება ?!

ამ მოსაზრებათა ძალით ჩვენ წინააღმდეგნი ვართ მიწის ნაციონალიზაციისა, ე. ი. იმისი, რომ სახელმწიფო გახდეს მიწის, ან რენტის მესაკუთრედ, ხოლო მომხრენი ვართ მიწის სოციალიზაციისა, ე. ი. იმისი, რომ სოფლის საზოგადოებანი, გლეხთა კავშირები და კოოპერაციები გახდნენ მიწის პატრონმომვლელნი.

(1) იხ. Social Problemes by Henry George. 200 — 211.

სარევოლუციო მოძრაობა საქართველოში

წერილი ბათომიდან.

ბათომში ხმა დაყარეს, რომ მაჰმადიანები სომხებს ამოხოცვას უპირებენო. დაშინებულ სომხების დასამშვიდებლად ტფილისიდან ჩამოვიდა ეპისკ. სატუნიანცი. ეპისკოპოსმა ეკლესიაში სიტყვა წარმოსთქვა ძმობისა და ერთობის შესახებ, მის წასვლის შემდეგ ეკლესიის ეზოში გაიმართა სიტყვების წარმოთქმა. საგანი სიტყვებისა იყო ზოგადპოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნანი. ამ დროს გაისმა: „ძირს თვითმპყრობელობა!” ხალხში ერთი მთვრალი აფიცერი რეულა. ამის გაგონებაზე რევოლვერი ამოიღო და ჰაერში გაისროლა. ხალხი აირია. მართალია, პოლიცია და ჯარი აქ არ ყოფილა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ბატარეებიდან ანიშნემდნენ თუ არა, მამინათვე უნდა გაჩენილიყვნენ. ამ დროს ატყდა კიდეც ზარბაზნების სროლა. და მანდაურობა ჯარებით აივსო. თან მთელ ქალაქს გარშემო შემოერტყნენ,

დემონსტრაცია ჩაიშალა და მუშების ერთი ნაწილი ქარხნებისაკენ გაემართა. ყაზახრუსები გამოუდგნენ და უწყალოდ დაუწყეს ცემა. თანაც მცხოვრებთ სახლებში უვარდებოდნენ, საცა მოეგუნებებოდათ. ერთი სახლი სულ მილეწმოლეწეს, რვა კაცი მოჰკლეს შიგ და გვამები ქუჩაში გამოისროლეს. დალეწეს სადალაქო ერთის შუბლაძისა, მოუკლეს ბიძა, მოჰკლეს მუშა ბახტაძე, მოჰკლეს ერთი მეპურე და სხ. და სულ 10 კაცი. მოჰკლეს აგრეთვე ერთი პოლონელი ქალი იადვიგა ზანჩევსკისა. მათი სიმხეცე რომ დაინახა, საბრალო ქალი მათ მსხვერპლებს გამოექომაგა თურმე.

ტაციობა და ძარცვა-გლეჯა ყოველ ნაბიჯზეა. ყაზახრუსები და სალდათები დაკეტილ დუქნებში ეზოდან შედიან, ლეწავენ ყველაფერს და მიაქვსთ, რაც კი ხელში მოხვდებათ: საათები, ფული, ძალით თხოულობენ ღვინოსა და არაყს, ყოველსავე ანადგურებენ, სცემენ მედუქნეთ. მედუქნეებმა ქალაქის თავს შესჩივლეს თავიანთი მდგომარეობა. იმან კიდევ შტაბის უფროსთან, მდივანთან, გაგზავნა.

დაიჭირეს ბეითალი ვართანიანცი და მისი ცოლი, რომელმაც ხომესთა ეკლესიის ეზოში ილაპარაკა. გასამართლებას უპირებენ აფიცერს აბესაძეს, რომელიც სომხების ეკლესიასთან გაჩერებულა იმ დროს, როცა იქ მთავრობის ძვირს ლაპარაკობდნენ, და განსაკუთრებით მისთვის, რომ როცა მთვრალ აფიცერს რევოლვერის სროლა დაუწყია, ეს მისულა და უთქვამს, ნება არა გაქვს ისროლო, არავის უბრძანებიაო.

ბურუნტაბიეს სიმაგრეზე ზარბაზნებს ქალაქისაკენ მიუბრუნეს ტუჩები. ეშინოდათ, ვაი თუ ხალხმა სიმაგრის აღება მოინდომოსო.

19 თებერვალს (ძვ. სტ.) ხმა გავრცელდა, მაჰმადიანებს სომხების ამოხოცვა აქვსთ გადაწყვეტილიო. ღამით ვიღამაც სომხების სახლებზე წითელი ჯვარები გამოსახა. სომხებს თავზარი დაეცათ, და გამგეობის დარბაზში არაჩვეულებრივი კრება გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ აქაური მაჰმადიანი ქართველი-ბეგები. რამდენმამე სიტყვა წარმოსთქვა. ორატორებმა სთქვეს, რომ შაითანია (ეშმაკია), რომ დადის და სცდილობს კავკასიის სხვა ხალხები ერთმანერთს გადაჰკიდოს. ამ შაითანის სახელის და გვარის ხსენება არ შეიძლება, მაგრამ ცნობით კი ყველანი იცნობენო (ამ შაითანს პოლიციის ფორმის ტანისამოსი აცვიაო, წარმოსთქვა ერთმა). ჩვენ ყველანი ძმები ვართ, საერთო მიზანი და ინტერესები გვაქვს და, მაშასადამე, სომხების ამოხოცვა აზრადაც არა გვქონიაო.

მუშებმა აქაურ ექიმთა საზოგ. კრებაზე ლაპარაკის ნება ითხოვეს. მაგრამ თავმჯდომარემ უპასუხა, წესდების ძალით ნება არა მაქვს გალაპარაკოთო. მაშინ ერთმა მუშამ უთხრა: წესდება იმის დამტკიცებულია, ვინც სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგია, ე. ი. საზიზღარ ადმინისტრაციისა. და მივპირს, რათა თხოულობთ სიტყვის თავისუფლებას, თუ კი ყველას თავისუფლად არ ალაპარაკებთო.

ამ ერთის კვირის წინად მთელს ბარცხანას და მუშათა უბნებს დილის ოთხ საათიდან ჯარი შემოარტყეს და მუშათა შორის იარაღის და აღკრძალულ გამოცემათა ძებნა დაიწყეს, მაგრამ ერთ დამტვრეულ სატევრის და ყანგიან თოფის მეტი ვერაფერი იპოვეს. ნაშუადღევის ორ საათზე მანდაურობას თავი დაანებეს და უკან გამობრუნდნენ. ამ დროს სამ სხვა და სხვა ადგილიდან რევოლვერები დასცალეს... საცა თქვენი ვაჟკაცობა აზსენოთ, იქ ჩვენიც არ დაგავიწყდეთო, — მიაძახეს.

ლიბერალიზმი?!

ამ რამდენისამე თვის წინად რუსეთის კონსტიტუციონალისტებმა ხმა აიმაღლეს. ქვემოდ დავინახავთ რა ღირსებისაც იყო მათი პროტესტი და რამდენად დამწიფდნენ პოლიტიკურად რუსეთის ლიბერალები. ახლა კი უნდა აღვნიშნოთ, ისე ბეჯითად და უკრიტიკოდ რუსეთის არც ერთ კუთხეში არ წაუბაძნიათ რუსის ლიბერალებისათვის როგორც ჩვენში. ხოლო ამასთან, კავკასიის ლიბერალები წინდახედული ხალხი აღმოჩნდა. ჯერ რუსეთის ლიბერალებს დააცალეს, ნახეს, რა შედეგი მოჰყვა მათს პროტესტს, ნახეს, რომ მთავრობას არავინ დაუსჯია, არავინ დაუტუსაღებია «თავისუფალ რეჩევისათვის». და დარწმუნდნენ რა ყველა ამაში მოჰყვნენ იმავე კილოთი, იმავე ენით, იმავე «გაბედულობით» ბიუროკრატიის გმობას და ამ უკანასკნელ დროს საქმე იქამდე მივიდა, რომ ტფილისის საბჭოში «დამფუძნებელ საერო კრების» მოწვევის საჭიროების შესახებაც იყო ლაპარაკი. დიახ «ისტორიული დღე» ტფილისსაც ხვდა წილად!

ბიუროკრატიის გმობა დღეს თითქმის მთავრობის მიერ ნებადართულ საქმედ გადაიქცა. ვინ გინდა, რომ წიხლი ან მუშტი არ უთავაზოს სახელგატეხილ ბიუროკრატიას. ღირსიც არის ყველა ამისი. ხოლო ბიუროკრატიის იქით ლიბერალებს ყველაფერი დაავიწყდათ. როცა თვითმპყრობელობის შესახებ ჩამოაგდებენ ლაპარაკს, იმ წამსვე «ნდობას» გაიხსენიებენ; ჩვენი უბედურება იმაშია, რომ არ გვენდობიან, ხელმწიფის და ხალხს შორის ხიდია ჩატეხილი და ეს ხიდი უნდა გაიდოს. მაშინ ჩვენს ბედს მაღლი არ დაჰყეფსო.

ამნაირი ლაპარაკი დაიწყეს რუსეთში, ამნაირივე ბაასი გაგრძელდა კავკასიაში. და ამრიგად ლიბერალები ფრიად მავნებელ პოლიტიკურ ტენდენციის მქადაგებლად გამოდიან. ხალხი მთავრობას, ან კიდევ მთავრობა ხალხს უნდა დაუახლოვდესო. ყოველივე ეს არის უარყოფა დემოკრატიულ პრინციპებისა. რათა კარგად გავიგოთ, თუ რა მავნებელია ამნაირი პოლიტიკურ ფილოსოფია, მივმართოთ იმ წყაროს, საიდანაც მომდინარეობს იგი, ე. ი. პეტერბურგში გამართულ (ნოემბერში) ერობათა წარმომადგენლების კრებას. ამ კონგრესს დიდის სიხარულით მიეგებნენ, რადგან მან კონსტიტუციის გამოცხადების საჭიროება აღიარა. ხოლო ბევრი არც-კი დაფიქრებულა იმის შესახებ, თუ რა ხასიათის კონსტიტუციას ჰგულისხმობდა ერობათა წარმომადგენლების კონგრესი.

კონგრესმა აღიარა: რუსეთის წესწყობილების არსებითი უკუღმართობა იმაში გამოიხატება, რომ «საზოგადოება და მთავრობა ერთმანერთს სრულიად დაშორდნენო» (1). რომ საზოგადოება დაშორდა მთავრობას, ეჭვი არ არის. საეჭვოა მხოლოდ, ვითომ ეს გარემოება ყოფილიყოს მიზეზი რუსეთის დაქვეითებისა. პირიქით, ამ დაშორებას კარგი რამ მოჰყვა,

*) იხ. „საქართველო” № 19.

რადგან კარგია ის, როდესაც დესპოტიის და ხალხს შორის გაწყდება ხიდმე საუკუნოებით დამკვიდრებული კავშირი. საქმე ის არის მხოლოდ, ნუ თუ ახლა ამ გაწყვეტილ კავშირის განახლება გახდა საჭიროდ? და ნუ თუ ამ საქმის განხორციელებას ლიბერალები ჰკისრულობენ?

კონგრესის დადგენილებას რომ დააკვირდეთ, სწორედ ამისთანა აზრი უნდა გამოიტანოთ.

იგი ამბობს: « წესიერი მიმდინარეობა და განვითარება სახელმწიფო და საზოგადო ცხოვრებისა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოებასა და მთავრობის შორის ცოცხალი და მჭიდრო ურთიერთობაა გამეფებულიო ». ამრიგად ერობათა წარმომადგენლების აზრით თვითმპყრობელობის და ხალხის შორის უნდა გამეფდეს მჭიდრო ურთიერთობა. ამგვარი კავშირი შეუძლებელია, რასაკვირველია, თუ თვითმპყრობელობამ არ დაუთმო ხალხს ერთი ნაწილი თავისის უფლებისა და პრეროგატივებისა.

და « ზემცებს » სწორედ ამისი იმედი აქვსთ. « კერძო პბოება იმედოვნებს, რომ უმაღლესი მთავრობა მოუხმობს ხალხის... წარმომადგენლებს და მათის დახმარებით გაიყვანს ჩვენს სამშობლოს სახელმწიფო განვითარების ახალ გზაზედ » ასე რომ რეზოლუციის აზრით, იმპერატორი მიანიჭებს ხალხს ზოგიერთ უფლებებს (ხალხის წარმომადგენლობის) ხალხი დაკმაყოფილდება და მთავრობის და მის შორის გაიმართება პოლიტიკურ თანხმობის იდილია. აქ საყურადღებოა სიტყვები « მათის დახმარებით ». ამ სიტყვების მნიშვნელობა ის არის, რომ ერობათა წარმომადგენლების თვალში რუსეთში უნდა დამყარდეს ნახევრად აბსოლუტური მონარქია. ხელმწიფე დარჩება ისევ ქვეყნის ბატონად, ხალხი მხოლოდ მმართველობაში დახმარებას გაუწევსო. ნამდვილი ხასიათი პეტიციისა ამნაირია.

ლიბერალების სხვა ადრესებშიაც ვპოულობთ ამნაირსავე მისწრაფებას, ასე, მაგალითად, ჩერნიგოვის გუბერნიის ერობამ გაუგზავნა ხელმწიფეს ადრესი და იქაც თითქმის იგივე გაიმეორა. ბუროკრატიამ ხალხს მთავრობა დააშორაო. ხალხის დაახლოვება მთავრობასთან კი აუცილებლად საჭიროა. ამიტომ ერობა თავმდაბლად სთხოვს მის იმპერატორებოს უდიდებულესობას, « მოიწვიოს ერობათა წარმომადგენლები და შეამუშავებინოს მათ რეფორმების პროექტი ». აქ ხალხის წარმომადგენლების მოწვევის შესახებაც აღარ არის ლაპარაკი, მარტო ერობათა წარმომადგენლებს იხსენიებენ.

მაშასადამე, ჩვენს წინაშე იმგვარი ლიბერალური მოძრაობაა, რომელიც არ ცდილობს ძირიანად შესცვალოს რუსეთის პოლიტიკური რეჟიმი დემოკრატულ კონსტიტუციის საშუალებით. ლიბერალებს დემოკრატ. კონსტიტუციის დაფუძნება რომ ნდომოდათ სულ სხვა ენით ილაპარაკებდნენ და მთავრობის და ხალხის შორის ხიდის გადების ცდაში აღარ იქნებოდნენ.

მართლაც, დემოკრატიზმი (თეორიულად მაინც) ხალხის სუვერენიტეტს აღიარებს. დემოკრატიაში ხალხია აღჭურვილი სრულის პოლიტიკურ უფლებებით. მთავრობა მისი აღმასრულებელი ორგანოა მხოლოდ, ამიტომ ნამდვილი დემოკრატი « დაახლოვების » საჭიროების ქადაგებას არ იკადრებს. რუსის ლიბერალებს ამგვარ წყობილების დაარსება არ სწადიათ. მათ სურთ იმპერატორს დაეხმარონ ქვეყნის მართვის საქმეში და ამიტომ ეკედრებიან მეფეს მოგვანიჭე პოლიტიკურ წარმომადგენლობის უფლებანიო. ყოველივე ეს შორს არის დემოკრატულ პრინციპთან, რომელიც ხალხს აღიარებს უფლება მოსილ სუბიექტად.

აი აქ ამ გარემოებაში აღმოჩნდა პოლიტიკური გაუწვრთნელობა და გაუბედავობა რუს ლიბერალებისა. ხოლო ისიც კია, საუკუნოების მონობის შემდეგ ამის თქმაც რომ გაჰბედეს, ესეც ბევრია. და აი აქ აქედამ წარმოსდგა ის, რომ ჩვენშიაც « ნდობასა » და « დაახლოვებაზე » დაიწყეს ყაყანი და მთლად მოსწამლეს თავისუფლებისადმი მიმართული მოძრაობა.

დასასრულ, ჩვენებურ ლიბერალების საყურადღებოდ მოვიყვანთ კარიაშევის საყურადღებო სიტყვას, მოსკოვში გამართულ ბანკეტზე (21 ნოემბ. 1905) ასე დააზასიათა პეტერბურგში მომხდარი კონგრესი:

„ წარმოიდგინეთ, ბატონებო, კონგრესზე ჩამოვიდნენ სხვა და სხვა მიმართულების პირნი. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ კონგრესს გუბერნიის სამმართველოების წარმომადგენლნიც, ე. ი. მოხელენიც დასწრებიან. არ ვიცოდით როგორ უნდა გვემოქმედნა. ამასობაში რუსეთის ყველა კუთხეებიდან ადრესები მოგვივიდა, სადაც გადაჭრით და ერთხმად გვითითებდნენ იმაზე, რაც უნდა გაგვეკეთებინა. მთელი ჩვენი სიფოცხლე გულში ვნატრობდით, ნეტავი როდის დადგება ის დრო, როდესაც თავისუფლად შეგიძლებთ ლაპარაკს ჩვენთა მოთხოვნილებათა შესახებ და აბა წარმოიდგინეთ, რანაირად უნდა ვყოფილიყავით აღელვებულნი რეზოლუციების შემუშავების დროს. საშინლად ავმფოთდით. გულისქთმას ავყოვით, მოულოდნელად წამოვდექით და ტაშისცემა დავიწყეთ. მეორე დიდმნიშვნელოვანი მომენტი კიდევ ის იყო, როდესაც რეზოლუციები უკვე დამზადებული იყო და ხელი უნდა მოგვეწერა. სულგანაბულები ფეხზე ვიდექით. და როდესაც თავმჯდომარემ გვარების დასახელება დაიწყო ხელის მოსაწერად და როდესაც ერთმა ჩვენთაგანმა ხელში კალამი აიღო და ქაღალდს ხელი მოაწერა, ყველამ სული მოვიბრუნეთ და თამამად დავიწყეთ ჩვენი გვარების მოწერა. ჩვენ ვხედავთ ამკარად ვგრძნობდით, რომ საქმე გათავებული იყო. ვხედავდით, ჩვენს წინ სტოლზე ისტორიული დოკუმენტი იდო ”.

და აბა ახლა გვიბძანეთ, ნუ თუ ამ გულად მოქალაქეთ ბევრი მოეთხოვებათ. ზემომოყვანილ ადგილში ყოველი სიტყვაა ლიბერალურ პსიხოლოგიის დასახასიათებელი. მათ « ეშინოდათ და თანაც უნდოდათ, — ამბობს სამართლიანად « ისკრა » (№ 81), — თავიანთ თავს ტაში დაუკრეს რაკი დაინახეს, რომ თქმა გაჰბედეს. ეშინოდათ, ვაი თუ ხელს ვერ მოვაწერთო. მაგრამ ერთმა მოაწერა და მით დაუმტკიცა, რომ ყველას შეუძლია ხელის მოწერა ».

აი ვის ჰბაძავენ დღეს ჩვენებური ლიბერალები?

რას ითხოვენ რუსის გლეხები

ამ ჟამად რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიებში გლეხთა შორის გავრცელებულია განაჩენი გლეხებისა თანამედროვე წესწყობილების მოსპობის და უკეთეს მმართველობის შემოღების შესახებ.

აი თვით განაჩენი:

„ 1) ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენის სისაწყლისა, ჩვენის უვიცობისა და ჩვენის დაჩაგვრის მიზეზი არის სიმცირე სახნავ-სათეს მიწისა და თვით მიწის იჯარის ფასის სიდიდე. უნდა დაუყოფებლივ მოისპოს კერძო საკუთრება. ის მიწები, დღეს რომ კერძო მემამულეთ, ხელმწიფის სახლობას, მონასტრებს, ეკლესიებს და ზაზინას ეკუთვნის, ხალხს უნდა გადაეცეს. მიწა იმისი (კერძო პირთა, ან ამხანაგობათა) უნდა იყოს, ვინც თვითონ საკუთარის მარჯვენით ამუშავებს და მისს დასამუშავებლად სხვებს არა ქირაობს;

თითოეულ გლეხს მიწა იმდენი მიეზომოს, რამდენის მოვვლაც შეუძლია.

„ 2) ერთის მხრივ გლეხები მემამულეთა ჰყავსთ დამორჩილებული, მეორეს მხრივ, მუშები კაპიტალისტებსა ჰყავსთ ხელში დასერილი, რადგან სამუშაო იარაღი და მანქანები მხოლოდ ამ კაპიტალისტებისაა.

„ ქალაქის მუშები მაშინ-და გახდებიან თავისუფალნი, როცა ქარხნები, მადნები, რკინის გზები და სხ. საერთო კუთვნილებად გახდება. ხოლო გლეხები მაშინ-და იქნებიან თავისუფალნი, როცა მიწა საერთო კუთვნილებად იქნება გამოცხადებული.

„ ყველა პროლეტარიებმა უნდა იბრძოლონ, რომ სამუშაო იარაღი უკლებლივ ხალხის ხელში გადავიდეს.

„ გლეხები მემამულეთა უღლისაგან თავს მაშინ-და განთავისუფლებენ, როცა ქალაქის პროლეტარები კაპიტალის მონობას გადიგდებენ კისრიდან. და მუშები მაშინ-და გაიუმჯობესებენ თავიანთს მდგომარეობას, როცა იმავე დროს გლეხები გაჭირვებულ მდგომარეობას თავს დააღწევენ.

„ მაშასადამე, გლეხები და მუშები ერთ პარტიად უნდა შეერთდნენ.

„ 3) ყველა ერთა მუშები ამ ყამად გაფიცულნი არიან და მუშაობაზე ხელი აიღეს. მუშაობაზე ხელი აიღეს იმიტომ კი არა, ვითომ სამუშაო არ იყოს, არამედ იმიტომ რომ კაპიტალისტები და მოხელენი მათ უწყალოდ ყვლეფავენ. რუსეთში არც მიწაა ნაკლებად, ის კი არა, ბევრიცაა, მაგრამ მებატონეთა, მონასტრებისა, ეკლესიებისა და ხაზინის ხელშია.

„ 4) ხელმწიფის მთავრობას კაპიტალისტების მსარე უჭირავს.

„ ხელმწიფის მთავრობას არ შეუძლია ხალხის მდგომარეობა გააუმჯობესოს. ამიტომ თვითმპყრობელობა უნდა მოისპოს და იმის მაგიერ შემოღებულ იქმნას რესპუბლიკანური მმართველობა, საერთო არჩევნებზე დამყარებული. ახალ წესწყობილებას შემოიღებს საერო კრება, საყოველთაოდ არჩეული. უნდა იქმნეს შემოღებული საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და იდუმალი არჩევა.

„ ხოლო ასეთ არჩევნებისათვის საჭიროა დაწესდეს ლაპარაკისა და წერის თავისუფლება, თავისუფლება შეკრებისა და მეერთებისა, ადამიანის პიროადობის ხელუხლებლობა.

„ ხელმწიფე ამას თავის დღეში არ მიანიჭებს ხალხს. ხოლო ამ თავისუფლების მოსაპოვებლად ხალხი სარევოლუციო პარტიის წინამძღოლობით აწინდელ წესწყობილების წინააღმდეგ უნდა აღსდგეს.

„ ამიტომ ამ განაჩენის ქვემ ხელის მომწერნი, სასოფლო ყრილობის წევრნი, ვთხოულობთ :

„ 1) მიწა საერთო კუთვნილებად გადიქცეს ; მხოლოდ იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც იშუამავებს.

„ 2) საერო კუთვინილებად გადაიქცეს ყველა დიდი სამრეწველოები.

„ 3) შემოღებულ იქმნას თავისუფლება წერისა, ლაპარაკისა, შეკრებისა, საზოგადოების დაარსებისა, პირადობის ხელუხლებლობა.

„ 4) დაუყოვნებლივ მოწოდებულ იქმნას საერო კრება, რომელიც დაიცავს მუშათა ინტერესებს.

„ 5) კენჭისყრა იქმნეს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და იდუმალი საერთ კრების წევრების ასარჩევად.

„ 6) დაუყოვნებლივ შეწყვეტილ იქმნას ომი და იაპონიასთან ზავი შეიკრას.

ქართველი ლიბერალები ხმას იღებენ

როდესაც საზოგადოება განვითარებამი მედის, მისი ერთგვარობა თან და თან ირღვევა. განვითარებულ საზოგადოების თვისებად მრავალგვარობა ხდება. ჩვენი საზოგადოებაც დღეს განვითარების ამ ხანაშია. ჩვენი ცხოვრება თავდაპირველად მუშათა მოძრაობის ძლიერმა ტალღებმა შეარყიეს. მუშათა მოძრაობამ ხელი შეეწყო გლეხების გამოფხიზლებასაც. და ამრიგად პოლიტიკურ ასპარეზზედ პირველად ქართველი მშრომელი ხალხი გამოვიდა, როგორც ძველ წყობილების დამრღვეველი და ახალ სოციალურ შენობის ამშენებელი ძალა.

ქართველ პროლეტარიატს და გლეხობას დამცველ-იდეოლოგები გაუჩნდნენ. ამ იდეოლოგთა მოძრის დასაწყისში სრული ერთგვარობა და თანხმობა იყო. ხოლო ჩვენი ცხოვრების პოლიტიკო-სოციალურ პირობების გართულებასთან ერთად აქაც დიფერენციაცია აღმოჩნდა. თან და თან გამოისახა ახალი ჯგუფი, ახალი პარტია მშრომელ ხალხის ინტერესების დასაცავად. ჩვენ არ შევდიგართ აქ იმის გარკვევაში, თუ ვინ რას იცავდა, ან ვინ რაში მართალია, ჩვენ მხოლოდ ზრდის, მრავალგვარობის, დიფერენციაციის ფაქტს აღვნიშნავთ.

ხოლო ამაზედ არ შედგა ქართულ საზოგადოების ევოლუცია. მშრომელ კლასის ფეხზე წამოდგომამ შეანძრია ისინიც, ვინც ან მის კისერზე იჯდნენ ან მის გვერდზე იმყოფებოდნენ. ჩვენს ცხოვრებაში არსებულმა კლასებრივმა განხეთქილებამ განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა ქართველ ბურჟუაზიას. ხოლო ეროვნულმა დევნამ განსაკუთრებული ელფერი მისცა ამ ბურჟუაზიას.

და აი მხოლოდ დღეს გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენი ბურჟუაზია. რადგან მისი გამოსვლა სწორედ იმ ხანაში ხდება, როდესაც რუსეთის ძველი რეჟიმი იმსხვრევა, და როდესაც ყველა კლასები დაინტერესებულნი არიან თავისუფალ რეჟიმის დამყარებაში, ჩვენი ბურჟუზია ლიბერალურ პრინციპების მცველად გამოდის. ხოლო ჩვენი ერის დამონავებული მდგომარეობა აძლევს მას ნაციონალურ ელფერს. ამრიგად, ჩვენს წინ წარმოიმართება ახალი ქართველ ნაციონალ-ლიბერალთა (ან დემოკრატთა) პარტია. რასაკვირველია, ეს პარტია როგორც ახალი ჯერ კიდევ ნორჩია, ამკარაა მას ჯერ არც განსაკუთრებული ორგანიზაცია აქვს, არც სოციალ-პოლიტიკური მისწრაფებანი აქვს დაბეჯითებით გამორკვეული. ხოლო ყოველივე ეს თავის დროზე გაგეთდება და ამის ნიმნებს იმაში ვხედავთ, რომ მან შეიმუშავა პოლიტიკური პროგრამა. რომელიც მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს ბ. ვიტეს წარუდგინა საყურადღებოდ (1).

შეიძლება გაიკვირვოთ ამგვარი საქციელით. მაგრამ ლიბერალები და მერე ქართველი ლიბერალები სწორედ ასე უნდა მოქცეულიყვნენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ლიბერალებს საზოგადოდ თვითმპყრობელობასთან ჩხუბი არა ჰსურთ. პირიქით ისინი ეკატუნებიან თვითმპრობელობას, „ გულწრფელ აღსარებით " ცდილობენ ხელმწიფის გული მოიგონ, ყველაფერს ბიუროკრატიას აბრალებენ და არწმუნებენ მეფეს, ხალხს ენდა დაუახლოვდე, ხალხს დნობა უნდა გამოუცხადო და ამრიგად მართვა-გამგებლობამი მოიხმარიგო. რუსის ლიბერალები ამ საგანში ძირიანად განსხვავდებიან იმ ლიბერალებისაგან, რომელთაც მე-XVIII საუკუნის დამლევს ამერიკასა და საფრანგეთში „ უფლებათა დეკლარაცია " შეადგინეს და „ ხალხის ხუვერენიტეტი " (ე. ი. უმაღლესი უფლება) აღიარეს, როგორც საფუძველი დემოკრატულ კონსტიტუციისა. რუსის ლიბერალები ასე მორს ვერ წავიდნენ. და მათი ქართველი მოძმეები ხომ ქართველები არ იქმნებოდნენ, მთავრობისათვის რაიმე საწყენი რომ გამოეტყვრათ.

ამ მოსაზრებათა მიუხედავად, კომიკურია ქართველ „ საზოგადოების " ნდობა რუსეთის მთავრობისადმი. ამ „ ნდობის " მოწოდოლია ჯერ მარტო თ-აზნაურობას ეჭირა. ამავე სენით დღეს ბურჟუაზული ლიბერალებიც დასნეულდნენ. საკვირველი ის არის, რომ ჩვენი ლიბერალები თითოეულ ამბობენ წერილობითს მოხსენებამი : საუკუნის განმავლობამი მთავრობა ისე გვექცეოდა, როგორც დაპყრობილ ქვეყანას, ყოველივე წაგვართვა, მონებად გაგვხადაო. და დღეს, როდესაც რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ტახტზე ისევ რომანოვების ჩამომავალი ზის, რომელიც განუკითსავად, როგორც დესპოტი, განაგებს უზარმაზარ იმპერიას — დღეს ლიბერალები ძველ ტრადიციების მცველ მონარქიისაგან მოელიან შველას, იმ მონარქიისაგან, რომელმაც, მათისავე სიტყვით, ყოველივე

(1) დაბეჭდილია „ Русь "-ში II, 25 1905 წ.

ღირსება ჩამოართვა! ამისთანა გულიბრყვილობა განა საოცარი არ არის?

ხალხის აჯანყებამ შიშის ზარი დასცა მთავრობას. მისს დასამშვიდებლად მთავრობამ გამოაცხადა, რომ მზად არის ძირითადი რეფორმები შემოიღოს რუსეთში. რესკრიპტის ძალით დაარსდა განსაკუთრებული კომიტეტიც, რომელსაც დაავალეს რეფორმების დამზადება. ხოლო ყველასათვის აშკარაა, რომ ყოველივე ეს ხერხია მხოლოდ. სანამ მონარქიული რეჟიმი არ შეიცვლება რუსეთში, შეუძლებელია ძირითადი რეფორმების განხორციელება. რეჟიმის შეცვლა კი ნიკოლოზს არ სურს. მაგრამ ლიბერალებმა დაიჯერეს, ამ კომიტეტისაგან მართლა რაიმე სიკეთე გამოვაო. დაიჯერეს, რომ ბიუროკრატები გამოსცემენ კანონებს თავიანთ ძალის და გავლენის მოსპობისათვის. დაიჯერეს და თავიანთი საჭიროებათა სიაც წარუდგინეს კომიტეტს. და ყველა ამაში სასაცილო ის არის, რომ მთავრობამ, მოისმინა-რა „აღსარება", ცივი წყალი გადაასხა ჩვენს ლიბერალებს და უთხრა: თქვენ ქართველები, რაზედ იწუხებთ თავს, თქვენ ხომ „ინოროდცები" არა ხართ, თქვენ ხომ ისე გიყურებთ როგორც რუსის ხალხს, არაფერში არ გარჩევთო. მოდით და ნუ გაიცინებთ! წერილობითი მოხსენება ლიბერალებმა სწორედ იმიტომ წარუდგინეს მთავრობას, რომ ქართველებს, როგორც „ინოროდცებს" საუკუნის განმავლობაში ტყავს აძრობდა თვითმპყრობელობა და ეხლა ცინიკურად ეუბნებიან: ქართველ ხალხს რუსის ხალხისაგან არ ვარჩევთო ამაზე მეტი საბუთი გინდათ იმის დასამტკიცებლად, რომ კომიტეტის წევრნი დასცინიან გულუბრყვილო ქვეშევრდომთ, „აღსარებას" არქივში ინახავენ, ხოლო რეფორმების განხორციელება მათ სრულიად არ ემურებათ.

მაგრამ ეს ერთი მხარეა საგნისა, მეორე მხარე თვით პროგრამაა, რომელიც შედარებით ინტერესს წარმოადგენს. შეიძლება გვითხრან: ნება არა გაქვსთ „პროგრამის" სახელი დაარქვათ „წერილობითს მოხსენებას" მთავრობისადმი მიმართულსო. მაგრამ, საქმე სიტყვების ხმარებაში არ არის. ამ წერილობითს მოხსენებას პროგრამის ხასიათი აქვს. თავისუფალ პირობებში შეიძლება მეტი ეთქოთ ლიბერალებს (ასე იქნებოდა ეროვნულ კითხვის შესახებ). მხოლოდ საინტერესო ის კი არ არის, რაც ადამიანს გულში უძევს, არამედ, რასაც ხმამაღლა აღიარებს. თუ მოხსენებაში გამოთქმული აზრები ლიბერალების „იდეალად" არ ჩაითვლება, იქ აღიარებული მოთხოვნანი, აშკარაა, საჭირბოროტო მოთხოვნათ მიაჩნიათ ჩვენს ლიბერალებს. უნდა ვსთქვათ, რომ ამავე დროს თ. წერეთელმა, ქუთაისის თ.-აზნ. მარშალმა, ამგვარივე მოხსენება წარუდგინა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს. და ამ ორ მოხსენებათა მსგავსება უკეთესი მაჩვენებელია იმისი, რომ ყოველივე ეს კერძო ადამიანის ან პატარა ჯგუფის საქმე არ არის, არამედ მთელ პარტიისა, რომელსაც შეიძლება დღეს ხორცშესხმული სახე არ ჰქონდეს, ხოლო რომელიც ხვალ უფრო მომზადებულად ეჩვენება მაყურებელს.

პროგრამა საყურადღებოა მით, რომ შიგ ლიბერალ-ნაციონალურ-ბურჟუაზული ტენდენციებია გატარებული. პროგრამა სამ ნაწილად იყოფება — ეროვნება, მოქალაქობრივი ცხოვრება, ეკონომიური ურთიერთობა. პროგრამის ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ ყოველ სტრიქონზე ის აზრია გატარებული, საქართველო გაუთანასწორეთ რუსეთს და რაც იქ არის ან, რაც იქ იქმნება, ჩვენც მოგვანიჭეთო ადგილობრივ მართვა-გამგებლობის კითხვაში, მთავარმართებლის თანამდებობის გაუქმებას ითხოვენ. ზემსტვოს გარდა სხვა უფრო ფართო ხასიათის თვითმმართველობის დაარსებას არც კი იხსენიებენ. ეროვნულ ენას, სკოლას და ეკლესიას ითხოვენ, ხოლო ამ დაწესებულებათა დასაცავად ორგანოს არ ასახელებენ. მაგრამ, აქ ნუ წამოვედავებით, ნუ დაგვავიწყდება, რომ პროგრამას ოფიციალური დანიშნულება ჰქონდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, პროგრამაში ჩამოთვლილია შემდეგი მოთხოვნანი: თავისუფლება სინიდისისა, სიტყვისა და პრესისა, თავისუფლება გაფიცვებისა, ყრილობისა და კავშირებისა. ხოლო ყველამ იცის, რომ ამ საჭიროებათა დაკმაყოფილება თვითმპყრობელობის წყობილებაში შეუძლებელია. და თუ ასეა, მაშ ჩვენი ლიბერალები პოლიტიკურ რეჟიმის გამოცვლის მომხრენი არიან, კონსტიტუციას თანაუგრძნობენ. და თუ კი ამ აზრის გამოთქმა გაჰბედეს, რამ დაუბათ ენა იქ, სადაც როგორც ქართველ ლიბერალებს ხმა უნდა ამოეღოთ. ვიმეორებთ, საოლქო ანუ ეროვნულ თვითმმართველობის კითხვა პროგრამაში სრულიად მიფუჩეჩებულია.

სამაგიეროდ, ქართველი ლიბერალები მომხრენი არიან იმ ზომებისა, რომელნიც გაამტკიცებენ ჩვენში ლეგალურ ხანას კაპიტალისტურ განვითარებისას. პროგრამაში აღიარებულია ბატონყმობის ნაშთთა ლიკვიდაციის საჭიროება. აგრარულ კითხვაში ამაზე შორს არ მიდის პროგრამა, თუ მხედველობაში არ მივიღეთ ერთი მუხლი, რომლის ძალით სახაზინო მიწები ჩვენებურ გლეხებს უნდა დაურიგდეთო, ბატონყმობის ნაშთთა გაუქმებით ჩვენი სოფელი გადაჭრით შევა ბურჟუაზულ განვითარების ხანაში. ხოლო ლიბერალები მომხრენი არიან იმისი, რომ მშრომელ ხალხის ინტერესი ბურჟუაზულ წყობილებაში დაცული იყოს კანონის მიერ. ამიტომ ჩვენი ლიბერალებიც მუშათა კანომდებლობის განვითარება-გაფართოვების მომხრენი არიან, „მშრომელ ხალხის უფლებათა დასაცავად".

ერთის სიტყვით, პროგრამაში ვპოულობთ ტიპიურ თვისებებს ბურჟუაზულ ლიბერალიზმისას, არ ვპოულობთ მხოლოდ მოქალაქობრივ გაბედულობას.

საჭიროდ არ მიგვაჩნია დაწვრილებით ლაპარაკი იმაზე, თუ ჩვენსა და ამ ახალ პარტიის შორის რა ძირითადი განსხვავებაა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ პირველი განსხვავება ის არის, რომ ჩვენ მთავრობას არაფერს ვსთხოვთ, არამედ იმედი გვაქვს ჩვენის ძალღონით ავიღოთ, რაც გვესაჭიროება. მეორე მთავარი განსხვავება ის არის, რა განსხვავებაც არის ლიბერალებ და სოციალისტებს შორის. ამიტომ ჩვენ ყოველთვის მოშორებით უნდა ვიდგეთ ამგვარ პარტიისაგან, უნდა გვახსოვდეს, რომლიბერალიზმი მომხრეა „ლიბერალურ კანონებისა" იმ დრომდე, სანამ საკუთრების კითხვა არ არის წამოყენებული და მისი კლასებრივი ინტერესი არ არის განსაცდელში. ეს გვახსოვდეს და ამის მიხედვით მოვიქცეთ ჩვენც!

განხეთქილება
კავკასიის სოციალ-დემოკრატთა შორის

რუსეთის ს.-დეკრატულ პარტიაში ორი მიმართულებაა: მიმართულება ეგრედ-წოდებული „უმრავლესობისა" და „უმცირესობისა". პირველის ბაირაღტარი ბ. ლენინია თავისის ორგანო „ვპერიოდ"-ით (წინ), მეორესი კი ბ. მარტოვი, ორგანო „ისკრა"-თი (ნაპერწკალი). ეს ორი მიმართულება ერთი მეორისაგან განირჩევიან ზოგიერთ საორგანიზაციო კითხვათა განმარტებაში. ლენინის აზრით, პარტიას უნდა შეადგენდნენ მხოლოდ პროფესიონალური რევოლუციონერები, წევრნი შეგნებულნი, ნათლად და ბეჯითად მცოდნე საპარტიო დოქტრინისა, მისის მიზნისა, მისწრაფებისა და პროგრამისა. პარტია უნდა იყოს ერთარსება, განუყოფელი, ცენტრალისტურად და იერარქიულად აშენებული. ცენტრალისტურ დაწესებულებათა ხელის ერთ დაქნევისათანავე მთელი პარტია ფეხზე უნდა დადგეს. პარტიაში უნდა სუფევდეს სასტიკი დისციპლინა და კონსპირაცია. მარტოვის აზრით კი პროფესიონალურ რევოლუციონერთა ორგანიზაცია უნდა შეადგენდეს პარტიის სულსა და გულსა. ეს ორგანიზაცია ჩაფლული უნდა იყოს და მჭიდროდ დაკავშირებული განუსაზღვრელ თანამგრძნობთა წრეებთან და აქედან საზრდოვობდეს და ვითარდებოდეს. ეს ორი ნაწილი უნდა შეადგენდეს პარტიას. პარტია უნდა იყოს ცენტრალისტური იმ მხრივ, რომ ყველა პარტიული ორგანიზაციები უნდა ექვემდებარეოდეს ცენტრალურ დაწესებულებებს; მაგრამ ამასთანავე ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს უნდა მიენიჭოს ფართო ავტონომიური უფლებანი.

ცენტრალიზმი, მარტოვის აზრით, არ უნდა გადაიქცეს ბიუროკრატიზმად ან ბონაპარტიზმად.

ეს ორი მიმართულება ერთმანერთისაგან განირჩევა კიდევ იმით, რომ, ლენინის აზრით, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დღეს წმინდა პოლიტიკურ ბრძოლას და პარტია უნდა ეცადოს, რომ მომავალ რევოლუციის დროს ხელმძღვანელობა, გეგემონია, ამ რევოლუციაში შერჩეს პრო-

ლეტარიატს. მარტოვი და მისნი მომხრენი კი უბრუნდებიან უკვე ნაცად, უკუგდებულ ეკონომისტთა მეზედულობას და მეტს ყურადღებას აქცევენ ზმინდა ეკონომიურ და პროფესიონალურ ბრძოლას.

ამ ორ მიმართულებამ იჩინა თავი ჩვენშიაც. კავკასიის კავშირის წევრმა ტფილისის კომიტეტმა, მარტოვის შეხედულების მომხრემ, უარჰყო კავკასიის კავშირის კომიტეტი, მოძხრე ლენინისა, და მასთან ერთად ქუთაისისა და ბაქოს კომიტეტები, აგრეთვე მოძხრენი ლენინისა. საკავშირო კომიტეტმა ეჩვენა ტფილისის კომიტეტს, თუ რამდენად არ შეიწყნარა ამ კომიტეტმა თავის მოქმედებაში საპარტიო დებულება და აუწყა: „რომ ტფილისის კომიტეტს არ სცნობს პარტიულ ადგილობრივ წარმომადგენელად, ითხოვს მას და არდგენს ადგილს ტფილისის კომიტეტს, რომელიც შეიქმნება პარტიულ ნამდვილ ადგილობრივ წარმომადგენელად და ღირსეულ ხელმძღვანელად ტფილისის პროლეტარიატისა მის ბრძოლაში დესპოტიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ". ამ განკარგულების გამო ტფილისის კომიტეტმა შეაგროვა ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციათა 25 წარმომადგენელთა კრება და დაადგინა, რომ ის კი არ გამოსულა პარტიიდან, არამედ საკავშირო კომიტეტი და მასთან ერთად ქუთაისისა და ბაქოს კომიტეტები, რომელნიც უარს ჰყოფენ პარტიულ ცენტრალურ დაწესებულებებს და ამით იწვევენ შუღლსა და განხეთქილებას პარტიაში. ამასთანავე ტფილისის კომიტეტი არ ფიქრობს, რომ საკავშირო კომიტეტს უფლება ჰქონდეს დაითხოვოს რომელიმე ადგილობრივი კომიტეტი კავშირისაგ. — საკავშირო კომიტეტმა არ გასცა ტფილისის კომიტეტს პასუხი ამ დადგენილებაზე და ტფილისში მეორე კომიტეტი დააწესა. ამ საზით, დღეს ტფილისის ს.-დემოკრატული მოძრაობა ორადაა გაყოფილი. თუ რომელია მათში მართალი, ეს ჩვენ არ გვეკითხება.

სოლიდარობის დასაწყისი

ბაქოში მოძხდარმა საზარელმა ამბებმა ფრიად საყურადღებო მოვლენა დაჰბადეს კავკასიის ცხოვრებაში. ხოლო სანამ ამაზე ჩამოვაგდებდეთ ლაპარაკს გვინდა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა თვით ამ ამბების შესახებ.

ეჭვს გარეშეა, თვითმპყრობელობა ყოველთვის ცდილობდა კავკასიელ სალხთა შორის უთანხმოება ჩამოეგდო. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ თათრების და სომხების შეტაკება სანუკარო უნდა ყოფილიყო მისის პოლიტიკის გამარჯვებისათვის. ამიტომაც იყო, ოდ ადგილობრივ ადმინისტრაციას სამის დღის განმავლობაში არავითარი ზომა არ მიუღია მშვიდობიანობის აღსადგენად. იგი თოფ-ზარბაზნებით მაშინ გამოდის ქუჩაში, როდესაც ხალხი მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრებს ხოლმე, ხოლო ერთი ხალხი მეორე ხალხს რომ დაერიოს და ამოსწყვიტოს იგი. მთავრობა თავს არ გაიცხელებს და დაზმარებას არავის აღმოუჩენს. ბაქოს ამბების გამო ადგილობრივმა სარეგ. კომიტეტებმა უნდა გამოიკვლიონ სიმართლე, ჩაიგდონ ხელში უტყვეარი საბუთები და ფაქტები მთავრობის გასამტყუნებლად. მანამდე კი არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი რამ.

როგორი დამნაშავეც უნდა იყოს მთავრობა ამ ყლეტაში, სამწუხარო ის არის, რომ უთანხმოების და განხეთქილების ნიადაგი კავკასიის ხალხთა შორის მაინც ჯერ კიდევ ყოფილა. განა მთავრობის პოლიტიკა არ დაიმსხვრევოდა, განა მთავრობის აგენტების მოქმედებას რაიმე ნაყოფი მოჰყვებოდა, კავკასიის ხალხნი რომ სოლიდარობით ყოფილიყვნენ გამსჭვალულნი, მათი ერთობა მართლა რომ მკვიდრი ყოფილიყო? რასაკვირველია არა. და ეს ჩვენი ხუსტი მხარე არ უნდა დავმალოთ. მთავრობის დანაშაულობა ყოველთვის უნდა გამოვაქვეყნოთ ხოლმე. ხოლო ჩვენს სისუსტეს ხელს ნუ წავაფარებთ.

კავკასიის მშრომელი ხალხი, განსაკუთრებით პროლეტარიატი, თან და თან იმსჭვალება საერთო ინტერესებით, თან და თან ვაყკაცდება და ერთიანდება კლასებრივ ნიადაგზე. მაგრამ ეტყობა სხვა ფაქტორებს ჯერ კიდევ ძალა ჰქონიათ კავკასიის ხალხთა ურთიერთობის განმტკიცებაში. აშკარაა, კავკასიის მშრომელი ხალხი ჯერკიდევ მტკიცედ არ მდგარა კლასებრივ ნიადაგზე. რელიგიურ ფაქტორს და არა-მშრომელ ელემენტთა ერთვნულ განცალკევების ფსიხიკას გავლენა ჰქონიათ კავკასიის ხალხთა მოქმედებაზედ.

რორც ჩვენმა პარტიამ, ისე ყველა სოციალისტურ პარტიებმა, რომელნიც კავკასიაში მოქმედობენ, ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. ბურჟუაზული ნაციონალიზმი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ხალხთა შორის გაერთიანებისა. სარწმუნოება (მაჰმადიანთა თუ ქრისტიანთა) ყოველთვის ხელს უწყობდა ამ განცალკევებას, და ამიტომ ფრიადად სამწუხარო მოვლენად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ კავკასიის ქალაქებში, სადაც კი სომხების მორიგება მოინდომეს (ტფილისს, ბაქოს, ბათომს და სხვაგან) ამ მორიგების მეთაურებად ბურჟუზელი ელემენტები გამოვიდნენ და გარდა ამისა მორიგების ადგილი თითქმის ყველგან ეკლესია ამოირჩიეს.

ეკლესია, სარწმუნოება და სამღვდელოება მუდამ ხალხთა და ერთა შორის მტრობის, შუღლის და სიძულვილის დამთესნი ყოფილან. მამ რანაირად მოხდა, რომ ჩვენში ერთა სოლიდარობის განსამტკიცებლად მაინც ეკლესიები და მეჩეთები აურჩევიათ? კავკასიის ბურჟუაზია? რომელმაც დღეს ხელი შეუწყო სომეხთა და თათართა მორიგებას? კავკასიის ბურჟუაზია დღეს პოლიტიკურ რევოლუციის მომხრეა, ამიტომ არის, რომ კავკასიის ბურჟუაზის ნაწილნი დროებით შეკავშირდნენ, რაკი შეიგნეს ის აზრი, რომ ამ შეკავშირებით თვითმპყრობელობა დასუსტდება. მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს ნამდვილი როლი და მნიშვნელობა ბურჟუაზიისა. ზოგი მაშინ უყურეთ, როდესაც პოლიტიკურ უფლებას ჩაიგდებს ხელში! კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის მქადაგებელნი გახდებიან მოციქულებად ბურჟუაზულ ნაციონალიზმისა და მოვინიზმისა და ერთა შორის სიძულვილის და შუღლის ცეცხლს ხელახლად გაიღვივებენ. არა, ჩვენ უნდობლად ვუყურებთ კავკასიელ ბურჟუაზიის მედიატორობას!

ჩვენ მივისწრაფვით სულ სხვაგვარ სოლიდარობისაკენ. კავკასიის ერთა შორის სოლიდარობას უნდა დაედოს საფუძვლად მშრომელ ნაწილის, გლეხთა და მუშათა ინტერესები, რადგან მხოლოდ ამაზე დამყარებული და აღმოცენებული სოლიდარობა იქმნება მკვიდრი და ნაყოფიერი. და სწორედ ამიტომ ვეგებებით დიდის სიხარულით იმ გარემოებას, რომ კავკასიაში გამოვიდა პროკლამაცია, რომელშიაც პროტესტია გამოცხადებული მთავრობის წინააღმდეგ ბაქოში მოძხდარ ყლეტის გამო და რომელსაც ქვემოდ ხელი უწერიათ კავკასიაში მოქმედ ყველა სოციალისტურ პარტიათა კომიტეტებს. (1).

თუმცა ეს პარტიები დღეს შეთანხმდნენ მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევისათვის, ხოლო მომავალი დაუმტკიცებს მათ, რომ შეთანხმებას შეიძლება უფრო გაბმული და სისტემატური ხასიათი მიეცეს.

კავკასიაში მოქმედ სოციალისტურმა პარტიებმა დღეს პირველი ნაბიჯი გადასდგეს სოლიდარულ მოქმედებისაკენ და მით უფრო მკვიდრი საფუძველი დაუდვეს კავკასიის მშრომელ ხალხთა სოლიდარობასაც.

მაშ გაუმარჯოს კავკასიის მშრომელ ხალხთა ერთობას!

და გაუმარჯოს ამ ერთობით გაძხნევებულ კავკასიაში მოქმედ სოციალასტურ პარტიებს!

(1) კავკ. საკავშირო კომ. რ. ს.-დ. მ. პარტიისა, ტფ. კომ. სომეხთა ს.-დ. პარტ. „ხანჩაკიან", ტფ. კომ. ქართვ. სოც. ფედერ. სარეგ. პარტიას, ტფ. კომ. სოც.-რევოლ. და კავკ. კომ. სარეგ. კავშ. „დამნაკცუტუნ".

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი წიგნი:
ოქმები ქართვ. რევოლუც. პირველ კონფერენციისა
ფასი 2 ფრანკი. — 80 კაპეიკი
იბეჭდება და ჩქარა გამოვა: «როგორ უნდა გადასწყდეს ჩვენში მიწის მფლობელობის საქმე».

გაზ. „საქართველოს" სტამბა. 51, rue Saint-Sauveur, Paris.